

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის

ბრძანება №779
2013 წლის 13 ნოემბერი

ქ. თბილისი

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის, განსახლების კრიტერიუმების, ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შესახებ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „რ“ და „ს“ ქვეპუნქტების და მე-7 მუხლის 41 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.

მუხლი 1

1. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების ორგანიზების მიზნით, დამტკიცდეს „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურა“ – დანართი №1.

2. დამტკიცდეს „საცხოვრებელი სახლის მიღების თაობაზე განაცხადის ფორმა“ – დანართი №2.

3. დამტკიცდეს „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების კრიტერიუმები“ – დანართი №3.

4. დამტკიცდეს „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახის (ეკომიგრანტის) საცხოვრებელი სახლის დაზიანების კატეგორიების შეფასების ფორმები – დანართი №4 და დანართი №5.

5. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების რეგულირება უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილმა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელმა კომისიამ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების რეგულირება, ამ ბრძანების საფუძველზე, უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით შექმნილმა კომისიამ. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ შეიძლება, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების), აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს დამატებითი პირობები და თუ ცალკეულ შემთხვევებში, ამ პირობების გამო, დაზარალებულთა დაკმაყოფილდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მიერ ვერ განხორციელდება – სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას



დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხი განიხილება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ.

6. დამტკიცდეს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესი – დანართი №6.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2014 წლის 17 ივნისის ბრძანება №1207 - ვებგვერდი, 18.06.2014წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 26 იანვრის ბრძანება №62 - ვებგვერდი, 27.01.2015წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა
მინისტრი

დავით დარახველიძე

დანართი N1

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულება და ოჯახის ცნება

1. ეს პროცედურა არეგულირებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახის (ეკომიგრანტის) განსახლებისა და საცხოვრებელი სახლის კანონმდებლობით საფუძველზე საკუთრებაში გადაცემის წესს.

2. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახად (ეკომიგრანტად) (შემდგომში – ეკომიგრანტი ოჯახი) ჩაითვლება ოჯახი, რომლის საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია) და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას მეწყერის, ღვარცოფის, კლდეზავის, ქვათაცვენის, მდინარეების ნაპირების გარეცხვის, თოვლის ზვავის, ჯდენადი გრუნტის გამო, გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა.

3. ეკომიგრანტი ოჯახი – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ ან ცხოვრობდნენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/სახლში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.

მუხლი 2. ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის პროცედურა

1. სამინისტრო ეკომიგრანტი ოჯახის, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცებული საცხოვრებელი სახლის მიღების თაობაზე განაცხადის (შემდგომში – განაცხადი) დაკმაყოფილებას ახორციელებს, ამ ბრძანების საფუძველზე, სამინისტროს ან ეკომიგრანტი ოჯახის მიერ მოძიებული საცხოვრებელი სახლის, სამინისტროს მიერ შესყიდვის გზით.

2. კონკრეტული ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადის დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის



თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ამ ბრძანების მე-5 პუნქტით შექმნილი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისია (შემდგომში – კომისია).

3. კომისიის შემადგენლობა და მისი მუშაობის წესი მტკიცდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

4. განაცხადის დაკმაყოფილების თაობაზე გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი, შემდგომში ეკომიგრანტი ოჯახისათვის ამ საცხოვრებელი სახლის კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ხოლო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, ეკომიგრანტი ოჯახს დადგენილი წესის შესაბამისად ეცნობება სამინისტროს ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) მიერ წერილობით.

5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ყოველწლიური საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, სამინისტროსათვის ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით შესყიდული საცხოვრებელი სახლების შეთავაზებაზე.

6. კომისია ადგენს განაცხადების მიღებისა და განხილვის ვადებს.

7. დეპარტამენტი მოახდენს ეკომიგრანტი ოჯახების ინფორმირებას განაცხადების მიღების ვადების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, სამინისტროს საზოგადოებასა და მასმედიათან ურთიერთობის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით.

8. დეპარტამენტი/სამინისტროს ტერიტორიული ორგანო ახდენს საცხოვრებელი სახლების მიღების მსურველთა განაცხადების შევსებას ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) წარმოების წესის შესაბამისად. ეკომიგრანტი ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე განაცხადს ავსებს სამინისტროს/სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი მოხელე. შევსებული განაცხადის ხელმოწერა ხორციელდება სამინისტროს/სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მოხელისა და ეკომიგრანტი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის ან კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილების მქონე ერთ-ერთი სრულწლოვანი ოჯახის წევრის მიერ.

9. განაცხადების შევსებაზე და ხელმოწერაზე სამინისტროს/სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი მოხელეები განისაზღვრებიან მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

10. დეპარტამენტი, მონაცემთა ბაზის მეშვეობით, ახდენს განაცხადების დამუშავებას ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების კრიტერიუმების (შემდგომში – კრიტერიუმები) შესაბამისად და დამუშავებულ მასალას წარუდგენს კომისიას განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

11. დეპარტამენტი არ განიხილავს იმ ეკომიგრანტი ოჯახების განაცხადებს, რომლებსაც სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მიერ, დაზარალების გამო, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება. ბოლო ეტაპზე განიხილება იმ ეკომიგრანტი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებენ განსახლებას, მათ შორის იმ ეკომიგრანტი ოჯახების, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ საცხოვრებელი სახლის მოცულობა რადიკალურად არ შეესაბამება ოჯახის წევრთა სულაღობას.

12. დეპარტამენტის მიერ განაცხადების დამუშავება გულისხმობს შემდეგს: ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების შესწავლას წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დამატებითი მონაცემების მოძიებასა და აუცილებელი დოკუმენტაციის მოთხოვნას ეკომიგრანტი ოჯახისაგან და/ან შესაბამისი ორგანიზაცია/დაწესებულებისაგან; მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, თითოეული ეკომიგრანტი ოჯახისათვის წინასწარი ქულების მინიჭებას კრიტერიუმების მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის შესაბამისად, დეპარტამენტის მიერ გადამოწმების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის მცდარი, მონაცემთა ბაზაში განაცხადს მიენიჭება



სტატუსი „განაცხადი გაუქმებულია“, რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს დეპარტამენტის უფროსის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

13. ამ მუხლის მე-10 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, დეპარტამენტი საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია, შესაბამის მუნიციპალიტეტს გაუგზავნოს, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახის (ეკომიგრანტის) საცხოვრებელი სახლის დაზიანების კატეგორიების შეფასების ფორმები. მუნიციპალიტეტი, საცხოვრებელი სახლის დაზიანების გათვალისწინებით, შევსებულ, სათანადოდ დამოწმებულ და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილ შესაბამის ფორმას წარუდგენს დეპარტამენტს.

14. ამ მუხლის მე-10, მე-12 და მე-13 პუნქტების გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების შემდგომ, კომისია განსაზღვრავს იმ განაცხადების რაოდენობას, რომელიც დეპარტამენტის და/ან სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მიერ გადამოწმებული უნდა იქნეს ადგილზე.

15. ამ მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე, გადამოწმების შედეგები წარედგინება კომისიას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ავალებს დეპარტამენტს დააკორექტიროს ეკომიგრანტი ოჯახის წინასწარი შეფასების შედეგი. კომისია ახორციელებს, გამსვლელი ქულის მქონე განაცხადებიდან შერჩევითი წესით და დეპარტამენტიდან ან/და სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მაღალი რისკის მქონე (მაგალითად, თუ განაცხადის დაკმაყოფილების საკითხის განხილვისას, მონიტორინგის ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საცხოვრებელი სახლის დაზიანების ან/და მის საკარმიდამო ნაკვეთში არსებული მდგომარეობა არსებითად არ შეესაბამება მინიჭებულ დაზიანების კატეგორიას, აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ფოტომასალითა და მონიტორინგის ოქმით) განაცხადების გადაგზავნას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი დაწესებულებისათვის გეოლოგიური დასკვნის მიღების მიზნით. მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული საბოლოო შეფასების გათვალისწინებით, კომისია კრიტერიუმების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი კონკრეტული ეკომიგრანტი ოჯახი დაკმაყოფილდება საცხოვრებელი სახლით. აუცილებლობის შემთხვევაში, კომისია დამატებითი მასალის მოძიების დავალებას მისცემს დეპარტამენტს.

16. კომისიის გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ფორმდება სხდომის ოქმით.

17. იმ ეკომიგრანტ ოჯახებს შორის, რომელთა განაცხადები კომისიის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, სამინისტროს მიერ შესყიდული, კონკრეტული საცხოვრებელი სახლების განაწილება განხორციელდება კომისიის მიერ ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე.

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ეკომიგრანტი ოჯახი (მისი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი ან ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მასზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ოჯახის სრულწლოვანი წევრების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე) ვალდებულია განაცხადოს წერილობითი თანხმობა, საცხოვრებელი სახლის მიღების თაობაზე სამინისტროს მიერ დადგენილი პირობით.

19. ამ მუხლის მე-18 პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის საფუძველზე, გამოიცემა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოადგენს ეკომიგრანტი ოჯახის წევრების, კანონმდებლობის შესაბამისად, კონკრეტულ გასანაწილებელ საცხოვრებელ სახლ(ებ)ში განსახლების საფუძველს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს საცხოვრებელი სახლის კონკრეტულ მისამართს და საკადასტრო კოდს.

20. შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ სამინისტრო იღებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს ამ საცხოვრებელი სახლების დაზარალებულთათვის პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად, საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №1703, ვებგვერდი, 15.09.2017წ.

მუხლი 3. ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის კრიტერიუმები



1. საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის მიზნით, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება ეკომიგრანტი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც ეკომიგრანტი ოჯახების საჭიროების შეფასებისას მონაცემთა ბაზაში დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის განსაზღვრისათვის. ეკომიგრანტი ოჯახი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის პროცესში.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული კრიტერიუმების გათვალისწინებით მოხდება ეკომიგრანტი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების განაწილება.

3. საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს:

ა) სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენური კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში მცხოვრები ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფა. ამგვარი გარემოს მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი შესაბამისი დაწესებულების დასკვნით, ხოლო ნგრევადი და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობის მდგომარეობა – შესაბამისი საექსპერტო დასკვნით;

ბ) ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფა, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

გ) ეკომიგრანტი ოჯახების კონკრეტული კონტინგენტისათვის კონკრეტული პროექტის ფარგლებში ან სამინისტროსათვის დონორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი მიზნობრივი გრანტის ფარგლებში ან მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლების გამოთავისუფლებასთან დაკავშირებით წერილობით გამოხატული სახელმწიფო ან კერძო პირის ინტერესების არსებობის შემთხვევაში, საცხოვრებელი სახლების შეძენა;

დ) იმ ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფა, რომელმაც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა გამოათავისუფლოს სამინისტროს მიერ გადაცემული, მართლზომიერ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართი. მართლზომიერ სარგებლობა უნდა დასტურდებოდეს „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის №996 განკარგულების ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის ოქმით.

4. ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადსა და მუნიციპალიტეტის მონაცემებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადს, იმ შემთხვევაში, თუ განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაცია/მონაცემები დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

5. გამონაკლის შემთხვევაში, პრიორიტეტთა/ქულების სრული დამთხვევის შემთხვევაში, კომისია საცხოვრებელი სახლით მიღების თაობაზე ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადის დაკმაყოფილების რიგითობის დასადგენად ატარებს კენჭისყრას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №1703, ვებგვერდი, 15.09.2017წ.

მუხლი 4. სამინისტროს მიერ კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის შესყიდვა

1. კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის შესყიდვის საკითხს კომისია განიხილავს ამ პროცედურის მე-2 და მე-3 მუხლებით დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით, ყოველწლიური საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

2. ეკომიგრანტი ოჯახს, რომელსაც განაცხადი დაკმაყოფილდა, საცხოვრებელი სახლის შერჩევისა და კომისიაზე



წარდგენისათვის მიეცემა 1 თვის ვადა. თუ ეკომიგრანტი ოჯახი განსაზღვრულ ვადაში ვერ შეარჩევს სასურველ საცხოვრებელ სახლს, ამ შემთხვევაში კომისია, კრიტერიუმების შესაბამისად მინიჭებული ქულების გათვალისწინებით, რიგით შემდეგ ეკომიგრანტ ოჯახს შესთავაზებს, საცხოვრებელი სახლის შერჩევას.

3. კომისია განსაზღვრავს კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის შესყიდვისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროსათვის ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ნასყიდობის ღირებულების მაქსიმალურ ოდენობას ერთ საცხოვრებელ სახლზე არაუმეტეს 25 000, (ოცდახუთი ათასი) ლარისა და, შესაბამისად, შესასყიდი სახლების მაქსიმალურ რაოდენობას.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შერჩეულ საცხოვრებელ სახლს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ექსპერტიზა საცხოვრებელი სახლის მდგრადობის/უსაფრთხოების/ტექნიკური მდგომარეობისა და საბაზრო ღირებულების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა, კომისიის გადაწყვეტილებით, ცხადყოფს, რომ საცხოვრებელი სახლი დაზიანებულია და საცხოვრებლად უვარგისია. აღნიშნული საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით კომისია იღებს გადაწყვეტილებას საცხოვრებელი სახლის კანონმდებლობით დადგენილი წესით შესყიდვის შესახებ.

5. ეკომიგრანტ ოჯახს უფლება აქვს, კომისიის მიერ დამატებით განსაზღვრულ ვადაში, განმეორებით წარადგინოს სამინისტროში სხვა საცხოვრებელი სახლი, თუ:

ა) ვერ ხერხდება სახლის ღირებულებაზე შეთანხმება, რადგან ეკომიგრანტი ოჯახი ვერ ფარავს ჩატარებული აუდიტორული შეფასების შედეგად დადგენილ საბაზრო ღირებულებასა და გამყიდველის ფასს შორის არსებულ სხვაობას;

ბ) დადებულ იქნა უარყოფითი საექსპერტო დასკვნა უკვე შერჩეული სახლის ტექნიკურ მდგომარეობაზე;

გ) წარმოდგენილი ფოტომასალის საფუძველზე, კომისიამ უარი თქვა ეკომიგრანტი ოჯახის მიერ წარმოდგენილი საცხოვრებელი სახლისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მდგრადობის/უსაფრთხოების/ტექნიკური მდგომარეობის შესახებ შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

6. ამ მუხლის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის შესყიდვის ღონისძიებებს სამინისტრო განახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე.

7. კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის შესყიდვა განხორციელდეს დაზარალებულის და სამინისტროს მიერ თანადაფინანსებით.

8. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, განაცხადის დაკმაყოფილებისა და საცხოვრებელი სახლის შესყიდვის თაობაზე გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი.

9. კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საცხოვრებელი სახლი რეგისტრირდება ეკომიგრანტი ოჯახის წევრთა თანასაკუთრებად.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.

მუხლი 5. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებისათვის გადაცემული, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლების მონიტორინგისა და საკუთრებაში გადაცემის პროცედურა

1. დეპარტამენტი ახორციელებს, ამ ბრძანების ამოქმედებამდე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებისათვის, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული, სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებებიდან ან ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულებებით, სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ გაწეული ფინანსური დახმარებებით შეძენილი საცხოვრებელი სახლების მონიტორინგს, მასში რეალურად მცხოვრები ოჯახების და საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის დადგენის მიზნით.



2. კომისია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის შედეგად წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით, განსაზღვრავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ იმ ოჯახებს, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, სიმბოლურ ფასად უნდა გადაეცეს საცხოვრებელი სახლები. მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გადაცემული საცხოვრებელი სახლების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოთავისუფლების პროცედურის განხორციელებასთან დაკავშირებით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ, დეპარტამენტის მიერ, კომისიის გადაწყვეტილება წარედგინება მინისტრს საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.



საცხოვრებელი სახლის მიღების თაობაზე განაცხადის ფორმა

სამინისტროს მიერ შესყიდული სახლის მიღება
ან

ეკომიგრანტის მიერ წარმოდგენილი სახლის შესყიდვა

განაცხადის ნომერი:		თარიღი:	
--------------------	--	---------	--

1. ინფორმაცია განმცხადებელზე

სახელი: _____

გვარი: _____

პირადი ნომერი: _____

2. განმცხადებლის ოჯახის შემადგენლობა

№	სახელი	გვარი	ნათესაური კავშირი განმცხადებელთან	დაბადების თარიღი	პირადი ნომერი

3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი	ტელ./მობ. ნომერი
დაზარალების მისამართი	

4. საცხოვრებელი სახლის მდგომარეობა:

5. წარმოდგენილი დოკუმენტაცია:

№	დასახელება	სახელი, გვარი

მე, ხელმოწერით ვადასტურებ, რომ წარმოვადგენ ჩემი ოჯახის ყველა წევრის ინტერესებს. ასევე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ სამინისტროს აქვს უფლება საჭიროებისდამიხედვით გადაამოწმოს ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ზემოხსენებული პროცედურის შესაბამისად. (შენიშვნა: სამინისტრო იტოვებს უფლებას, მცდარი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, ბათილად ცნოს მიღებული გადაწყვეტილება).

განმცხადებლის ხელმოწერა: _____

განაცხადის მიმღები: _____

ეკომიგრანტი ოჯახების განსახლების კრიტერიუმები

№	საცხოვრებელი სახლის დაზიანების კატეგორიები	ქულა
ა	კატეგორია 1 სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია) ნებისმიერი სტიქიური მოვლენებით (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარეების ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავი, ჯდენადი გრუნტი), გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა და არ ექვემდებარება აღდგენას	10
ბ	კატეგორია 2 სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარეების ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავი, ჯდენადი გრუნტი), გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა, საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას	7

№	სოციალური კრიტერიუმი	ქულა
ა	სოციალურ პროგრამაში მონაწილეობა 57001-ქულაზე ნაკლები	0.5
ბ	ოჯახში არის 3 და მეტი 18 წელზე დაბალი ასაკის ოჯახის წევრი. 3-ზე 2 ქულა, ყოველ დამატებითზე 1 ქულა	შესაბამის ქულათა ჯამი
ბ	მძიმედ დაავადებული ოჯახის წევრი/წევრები. მუდმივად მწოლიარე (0,5 ქულა), ფსიქიკური ფუნქციის დარღვევა (0,5 ქულა), ონკოლოგიური დაავადება (0.5 ქულა) (უნდა არსებობდეს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა. ონკოლოგიური დაავადების შემთხვევაში ფორმა №50/2)	შესაბამის ქულათა ჯამი

დ	ოჯახის წევრი ან წევრები არიან მკვეთრად (1,5 ქულა), მნიშვნელოვნად (1 ქულა) ან ზომიერად (0,5 ქულა) გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირები (ჯანმრთელობის მოშლით გამოწვეული ადამიანის საქმიანობის ნორმიდან გადახრა, რაც ხასიათდება თვითმომსახურების, გადაადგილების, ორიენტაციის, ურთიერთობის, თვითკონტროლის, სწავლისა და შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვით), რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერით	შესაბამის ქულათა ჯამი
ე	მშობელი ან ქვრივი, რომელიც იძულებულია მარტომ იზრუნოს მცირეწლოვან შვილზე ან შვილებზე (დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მეუღლის გარდაცვალების მოწმობა, ბავშვების დაბადების მოწმობები და სხვა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი)	1
ვ	ხანდაზმულ(ებ)ი, რომელიც ახორციელებს მეურვეობას ან მზრუნველობას არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის ან შვილიშვილ(ებ)ის მიმართ კანონმდებლობის შესაბამისად. (მეურვეობა/მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი)	1
ზ	პენსიონერი, რომელიც ცხოვრობს მარტო და ოჯახი, რომელიც შედგება ხანდაზმული წევრებისგან. ოჯახი შედგება მხოლოდ ან ძირითადად (ნახევარზე მეტი) საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისაგან	1
თ	ოჯახის შემადგენლობა არის 7 და მეტი სული	1

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ პირი ერთობლივად აკმაყოფილებს ამ დანართის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ რამდენიმე კრიტერიუმს, მაშინ მას ქულა ენიჭება იმ კრიტერიუმით, რომელიც ითვალისწინებს უფრო მაღალ ქულას

№	სხვა კრიტერიუმი	ქულა
ა	სხვა საცხოვრებელი სახლი არ აქვს საკუთრებაში	6
ბ	სხვა საცხოვრებელი სახლი აქვს (საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის მოცულობა და ოჯახის წევრთა სულადობა რადიკალურად არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ საცხოვრებელ სტანდარტებს)	1

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესი

მუხლი 1. მონაცემთა ბაზის ფორმა და მონაცემთა ბაზაში არსებული საინფორმაციო ველების ჩამონათვალი

1. განაცხადის/ინფორმაციის ბაზაში განთავსების გზისა და დაზარალების შესახებ მონაცემების სარეგისტრაციო მოდული

ა) განაცხადის/ინფორმაციის შევსება:

ა.ა) ოჯახის მიერ სამინისტროში შევსებული განაცხადი;

ა.ბ) მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია;

ბ) რეგისტრაციის ორგანო:

ბ.ა) სამინისტრო;

ბ.ბ) იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანო ;

ბ.გ) აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანო;

ბ.დ) შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიული ორგანო;

ბ.ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

გ) დაზარალების მისამართი;

დ) რეგისტრაციის თარიღი;

ე) დაზარალების კოორდინატები:

ე.ა) გრძედი;

ე.ბ) განედი;

ვ) საცხოვრებელი სახლის მდგომარეობა;

ზ) სახლის სურათები;

თ) განაცხადის ნომერი;

ი) სტიქიის დასახელება;

კ) დაზიანების კატეგორია;

ლ) საცხოვრებლით დაკმაყოფილების ტიპი:

ლ.ა) საცხოვრებლით დაკმაყოფილება;

ლ.ბ) სანაცვლო ფულადი დახმარება;

მ) დაზიანების წელი.

2. ოჯახის სარეგისტრაციო მოდული

ა) პირადი ინფორმაცია:

ა.ა.) სურათი;

ა.ა) სახელი;

ა.ბ) გვარი;

ა.გ) მამის სახელი;

ა.დ) პირადი ნომერი;

ა.ე) დაბადების თარიღი;

ა.ვ) სქესი;

ა.ზ) დაბადების ადგილი;

ა.თ) კავშირები (ოჯახის წევრების ნათესაური კავშირი);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები:

ბ.ა) დოკუმენტის ტიპი;

ბ.ბ) დოკუმენტის ნომერი;

ბ.გ) გამცემი ორგანო;

- ბ.დ) დოკუმენტის გაცემის თარიღი;
- ბ.ე) დოკუმენტის მოქმედების ვადა;
- გ) მისამართი/კონტაქტები:
- გ.ა) რეგისტრაციის მისამართი;
- გ.ბ) ფაქტიური მისამართი;
- გ.გ) საკონტაქტო ინფორმაცია (Mobile, Home tel, E-mail);
- დ) ჯანმრთელობა:
- დ.ა) შეზღუდული შესაძლებლობა:
- დ.ა.ა) მკვეთრად გამოხატული;
- დ.ა.ბ) მნიშვნელოვნად გამოხატული;
- დ.ა.გ) ზომიერად გამოხატული;
- დ.ბ) მძიმე დაავადებები:
- დ.ბ.ა) მუდმივად მწოლიარე;
- დ.ბ.ბ) ფსიქიური ფუნქციის დარღვევა;
- დ.ბ.გ) ონკოლოგიურად დაავადებული;
- დ.ბ.დ) მეურვეობა/მზრუნველობა;
- ე) სახელმწიფო გასაცემლები.

3. საკუთრების (ეკომიგრანტი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ინფორმაცია) სარეგისტრაციო მოდული

- ა) სხვა საცხოვრებელი სახლი:
- ა.ა) არ აქვს საკუთრებაში;
- ა.ბ) აქვს საკუთრებაში – არასაკმარისი ფართი;
- ა.გ) აქვს საკუთრებაში – საკმარისი ფართი;
- ბ) საჯარო რეესტრის მონაცემები:
- ბ.ა) საკადასტრო კოდი;
- ბ.ბ) სარეგისტრაციო №;
- ბ.გ) საკუთრების დანიშნულება;
- ბ.დ) გადამოწმების თარიღი.

4. ოჯახის სოციალური მდგომარეობის (ეკომიგრანტი ოჯახის წევრების შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაცია) სარეგისტრაციო მოდული

- ა) სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემები:
- ა.ა) ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი;
- ა.ბ) სახელი, გვარი;
- ა.გ) ქულა.

5. შედეგები (ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადის შეფასების წინასწარი ქულა)

- ა) შედეგების შეჯამება. წინასწარი ქულა;
- ბ) შეფასების თარიღი;
- გ) შეფასების ფორმის ბეჭდვა.

6. ინფორმაცია დაკმაყოფილების შესახებ

- ა) ხელშეკრულების ნომერი;
- ბ) ხელშეკრულების თარიღი;
- გ) კომენტარი;
- დ) თანხით დაკმაყოფილება:
- დ.ა) თანხა;
- ე) სახლის შეძენა:
- ე.ა) ინფორმაცია ყოფილ მეპატრონეზე;
- ე.ბ) გადახდილი თანხა;
- ე.გ) ვის მიერ იქნა უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართით ან სანაცვლო თანხით:
- ე.გ.ა) სამინისტრო;
- ე.გ.ბ) აჭარის ა/რ მთავრობა;
- ე.გ.გ) მუნიციპალიტეტი;
- ე.გ.დ) სხვა სამთავრობო დაწესებულებები;
- ე.გ.ე) დონორი ორგანიზაციები;

- ე.დ) გადაცემული უძრავი ქონების მონაცემები;
- ე.დ.ა) ტიპი;
- ე.დ.ბ) ფართი;
- ე.დ.გ) კოორდინატები;
- ე.დ.გ.ა) გრძედი;
- ე.დ.გ.ბ) განედი;
- ე.ე.ა) დოკუმენტის №;
- ე.ვ.ა) მისამართი;
- ე.ზ) ატვირთული ფაილები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.

მუხლი 2. მონაცემთა ბაზაში განთავსებული განაცხადის/ინფორმაციის სტატუსები

1. ოჯახის მიერ სამინისტროში შევსებული განაცხადი.
2. მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.
3. განაცხადი შეფასებულია/ქულა დათვლილია.
4. მონიტორინგი – დაზარალება არ დადასტურდა.
5. მონიტორინგი – საჭიროებს ცვლილებას.
6. მონიტორინგი – დადასტურებული.
7. ოქმის მიხედვით – უარი ეთქვა.
8. ოქმის მიხედვით – დამატებით მოკვლევა/შესწორება/სხვა.
9. ოქმის მიხედვით – მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება.
10. დაკანონება – შეჩერებულია.
11. დაკანონება – მიმდინარეობს.
12. დაკანონება – დასრულებულია.
13. დაზარალება არ დადასტურდა.
14. განაცხადი გაუქმებულია.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.

მუხლი 3. მონაცემების დამუშავება

ამ ბრძანებით გათავალისწინებული მონაცემების დამმუშავებელი პირები განისაზღვრებიან მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის ბრძანება №1708, ვებგვერდი, 15.04.2016წ.

დანართი 7 - ძალადაკარგულია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2014 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება 2501 - ვებგვერდი, 30.10.2014წ.